

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გიორგი მოლოდინი

საბანკო საქმიანობის განვითარების ტენდენციები და  
საბანკო პროდუქტების ტრანფორმაციის საკითხები ეკონომიკურ სისტემაში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

**ხელმძღვანელი:**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

 / ა. ინგოროყვა /

**ოფიციალური რეცენზენტი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

/ ა. ქუთათელაძე /

**ოფიციალური რეცენზენტი**

მოწვეული  
ასოცირებული პროფესორი


/ ვლ. ასათიანი /

დაცვა შედგება 2016 წლის 16 თებერვალს 14:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი VI, აუდიტორია 131ა  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:**

სრული პროფესორი



/ ს. ხიზანიშვილი /

## Summary

“Development trends in banking system and transformation of banking products in the economic system” is very actual question. It should be noted, that Despite the positive achieved results in the country, the banking system has not been able to overcome the financial crisis. At the same time, the credit institutions in the legislative, organizational and financial crisis, the most severe consequences provided: Banks' capital, their asset growth and has been created necessary conditions for financial strengthen.

It should be noted that the bank as a specific enterpriser products such things, which is essentially different from the material production of the product. It produces not just goods, but also a special kind of commodity - money, in the form of payment means. The bank, as a reproduction of the total mass of the subjects of the monopoly, released cash serves as a production and distribution, exchange and consumption areas. Together with these products the banks are engaged in a wide range of services as well, which are predominantly monetary character.

Further reform of the banking system is to strengthen its sustainability, the banking sector possibility of creating a new non-cash multiple money supply. objectives may reach by raising levels of company's capitalization rate, Implant a new innovative banking products and services, to reach confidence from inverstors and depositors to the banking sector need to increas strenthening of country's banking sector.

Activity of comercial bank would not be the only comply with a mandated rule by national (central) bank, But also through analysis of the results of their financial and economic activity, Dynamics and perspectives of the development of detection. To do this, the Bank's activities in particular areas of the methodology and methods of analysis is necessary. Foreign banks' methods of financial analysis of the banking system is not fully acceptable for Georgian banking system. All these factors led the bank's comprehensive analysis of financial condition and developing new innovative products. In the end, we can say that the Georgian banking system is established as the most profitable, technologically - the most developed, intellectual potential - the most powerful business sector.

In this work is carefully argued the actuality of research themat; Scientificly studied its' present conditions; briefed researchs' goal, task, object, subject and Information Database.

In firs chapter of research is analyzed Georgian banking systems' development in the historical retrospective, Where are learned upgrowth stages of georgian banking system, Georgian banking and credit systems present stage and Banking operations in monetary relations structure.

Adjusted that the banking system is one of the most difficult and essential sector of the market, which characteristics itself with originality, singularity and

determined viability of the whole economic systems' quality. Market relations are unimaginable without a active functioning of monetary system, It affects practically all spheres of the economy and defines the directions and trajectories. By implication the banking is autonomous "world", which is characterized by the development of their own and specific patterns.

If we'll speak in medical language "money" - is the blood of economy, "banking system" – arteries and the banks are "hearts" wich are affecting a viability and development of the economy.

In the second chapter is studied creation of the banking products,Net cost Determination and application features. Determination of the banking products' net costs in present stage is very important for every single bank, Because with the such information taken by calculating the leading employee can reveal the most profitable and most effective products, As well as the reasonable pricing and the introduction of new products in the feasibility study.

Managing the processes of banking products and about priorities of using cryptography methods in banking industry is stated that the most secured for banking industry is criptography method. It is used for encryption of information and criptographycal schemes of electronic signatures selling speed.The banking system connected with cryptography will be the basis for improving the safety of the banking activities to protocols, electronic payment system, clients electronic files etc.

There is proposed in banks how to use local and virtual plastic cards and innovative forms of service.

In third chapter of research is discussed innovative operations in comercial banks and alternative ways of payment, where is learned banking innovations and their betterment, the upgrowth problems of operations of comercial banks in present money market.

One of the most important thing in the banking system is speed and quality of its employees and customer services. The development of new information technologies in the banking business provides innovative solutions,Wich increase the efficiency of the financial organization and gives an ability to improve the quality of services provided for clients.

To create developing specialized bank may be perceived as an expression of support for the production of the real sector of the state. For example, government will be engaged to process important lending projects and the specialized bank will solve the designated problems. Also while the real sector crediting it should have risk management related with appropriate measures, As wll as control on money using. In Georgia we deem such partnership fund wich reformed to specialized-investment bank what will be the helpful tool for country's economic sectors.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის აქტუალურობა. ფულადი ბაზარი, რომელიც ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში სტრატეგიულ საყრდენს წარმოადგენს. აღნიშნული გამომდინარეობს მისი საბაზრო სისტემის სხვა სტრუქტურულ ელემენტებზე ზემოქმედებიდან. ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოს ფულადმა ბაზარმა ძირეული ცვლილებები განიცადა.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობა, ფულადი ბაზრის მოქნილობა და ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ კომერციული ბანკები როგორ მონაწილეობენ სახელმწიფოს, ცენტრალურ ბანკს, საწარმოებსა და მოსახლეობას შორის ფულადი სახსრების გადანაწილებაში. რეალობაა, რომ ფულადი ბაზრის ფუნქციონირება კომერციული ბანკების ოპერაციების გარეშე წარმოუდგენელია. კომერციული ბანკების ოპერაციები თანამედროვე ფულად ბაზარზე უფრო რთული და დახვეწილი გახდა დღევანდელ ეკონომიკაში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში კრიზისული სიტუაციები და მათი ნეგატიური შედეგები უფრო მეტად ზემოქმედებენ როგორც, მთლიანობაში ფულადი ბაზრის მდგომარეობასა და მის განვითარებაზე, ასევე კომერციული ბანკების ოპერაციებზეც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ფულად ბაზრებზე კომერციული ბანკების ოპერაციათა განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების შესწავლის აქტუალურობა განპირობებულია შემდეგი საკითხებით:

- ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების განხორციელებისას უცხოური და ეროვნული გამოცდილების გამოყენების აუცილებლობა;
- ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების განვითარებაზე ზემომგქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- ფულად ბაზარზე კომერციული ოპერაციების განვითარების ტენდენციებისა და პერსპექტივების განსაზღვრა;

- თანამედროვე ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების შემდგომ განვითარებასათვის კონკრეტული ზომებისა და წინადადებების შემუშავება.

თანამედროვე ფულად ბაზრებზე კომერციული ბანკების ოპერაციათა განვითარების ტენდენციებმა და პერსპექტივებმა, რომელიც მთელ რიგ თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ასპექტებს მოიცავს. ამდენად, აღნიშნული საკითხის სირთულემ და არასაკმარისად დამუშავებულობამ, მოცემული კვლევის მიზნების, ამოცანების, სტრუქტურისა და შინაარსის არჩევა განაპირობა.

**საკვლევი თემის დამუშავების ხარისხი.** ფულადი მიმოქცევის, ფულის, ფულადი ბაზრის, საბანკო საქმის განვითარების თეორიისა და მეთოდოლოგიის საკითხები უცხოეთისა და ეროვნულ სამეცნიერო ლიტერატურაში სრულყოფილად არ არის განხილული.

ფულადი მიმოქცევის, საბანკო საქმიანობის განვითარების ფუნდამენტალურმა იდეებმა თავისი ასახვა ჰპოვეს შემდეგი ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში, როგორცაა: ჯ.მ. კეინზი, კ.დ. კემპელი, რ. მანდელი, კ. მარკსი, ა. მარშალი, ვ. პეტი, ე. პეტერსი, დ. რიკარდო, ა. სმიტი, ჯ. სტიგლიცი, ჯ. ტობინი, ი. ფიშერი, ფ. ფიშერი, მ. ფრიდმანი, ფ.ა. ხაიეკი, ა.ი. არხიპოვი, ს.ვ. ბრაგინსკი, ვ.ს. გერაშენკო, ვ.ნ. გოლოვანოვი, ა.გ. გრიაზნოვა, ა.ი. დობრინინი, ლ.ა. დრობოზინა, ე.ფ. ჟუკოვს, ო.ი. ლავროშინი, მ.ი. ლიალკოვი, ვ.ვ. უსოვი, ვ.მ. უსოსკინი და რიგი სხვები.

სადისერტაციო ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების ნაშრომები, რომლებშიც შესწავლილი და განზოგადოებულია საბანკო სისტემის ჩამოყალიბება-განვითარების, კომერციული ბანკების ფუნქციონირებისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ფორმირების პრობლემები; როგორებიცაა: რ. აბულამე, რ. ასათიანი, ვლ. ასათიანი, ნ. ბაგრატიონი, რ. ბასარია, ე. ბოლოკამე, ხ. ბარბაქამე, ვ. ბურდული, რ. ბურდიაშვილი, გ. გამსახურდია, ზ. გვასალია, მ. გოგობია, ლ. ელიავა, ვ. ზურაბიშვილი, ზ.

თეთრუაშვილი, ა. ინგოროყვა, რ. კაკულია, მ. კაკულია, ი. კოვზანძე, გ. კონტრიძე, ზ. ლიპარტია, ი. მესხია, ი. მანაგაძე, გ. მალაშხია, ვ. მოსიაშვილი, ე. მექვაბიშვილი, დ. ნარმანია, მ. ვანიშვილი, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, უ. სამადაშვილი, ნ. სანთელაძე, ლ. ქოქიაური, შ. ქისტაური, ლ. ქისტაური, ა. ქუთათელაძე, ვ. ქოიავა, გ. ლაბარტყავა, ჯ. შათირიშვილი, თ. ჩიკვაძე, ლ. ჩიქავა, გ. ცაავა, გ. წერეთელი, ვ. ჩანტლაძე, ზ. ჩხაიძე, ნ. ჭითანავა, გ. ხელაია, გ. ხანთაძე, ა. ჯიბუტი, მ. ჯიბუტი, ე. ჯგერენაია, გ. ჯულაყიძე, ლ. ღუდუშაური და სხვები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბანკო საქმიანობის პრაქტიკას საქართველოში, აქედან გამომდინარე კი ფულად ბაზარზე კომერციული ოპერაციების კვლევის მეთოდოლოგიასა და თეორიას, დროის შედარებით მოკლე მონაკვეთი გააჩნია. მოცემული პრობლემატიკა არასაკმარისად არის გამოკვლეული და იგი სათანადო შესწავლასა და გააზრებას საჭიროებს.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის მიზანია კომერციული ბანკების პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების გამოკვლევა.

აღნიშნული მიზნების რეალიზაცია ითვალისწინებს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას:

- ფულადი მიმოქცევისა და მისი რეგულირებისადმი ძირითადი კონცეფტუალური მიდგომების რეტროსპექტიული ანალიზის ჩატარება, რომლებიც კვლევის საგანთან უშუალოდ არის დაკავშირებული;
- ცნებების „ფულადი ბაზარი“, „კომერციული ბანკების ოპერაციები ფულად ბაზარზე“ შინაარსის კონკრეტიზირება და განსაზღვრის ჩამოყალიბება;
- ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების გამოკვლევა, ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების საქმიანობის დამახასიათებელი თავისებუ-

რეზიუმის გამოყოფა;

- ფულადი ბაზრის ორგანიზებაზე და ფუნქციონირებაზე საბანკო სექტორის ზემოქმედების გამოკვლევა;
- სახელმწიფო პოლიტიკაში ეროვნული და უცხოეთის გამოცდილების გამოყენება;
- ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების ტიპოლოგიის შემუშავება, ოპერაციების შერჩევაზე ზემომხედელი ფაქტორების სინთეზირება და ოპერაციებთან დაკავშირებული რისკების განხილვა;
- თანამედროვე ფულადი ბაზრის სხვადასხვა სეგმენტებზე კომერციული ბანკების ოპერაციების გამოკვლევა, მათი განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოყოფა, თანამედროვე ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების პრობლემების გამოვლენა და გაანალიზება;
- ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების განვითარების პერსპექტივების აღნიშვნა და საქმიანობის სრულყოფის მიხედვით კონკრეტული რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

**კვლევის ობიექტი და საგანი.** კვლევის ობიექტია თანამედროვე კომერციული ბანკების საქმიანობა ეკონომიკურ სისტემაში და ფულად ბაზარზე. კვლევის საგანს თანამედროვე ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების პროდუქტების და მომსახურების განვითარების ტენდენციები და პერსპექტივები წარმოადგენს.

**კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი** ეკონომიკური საქმიანობის პრინციპებმა და მეთოდებმა სტრუქტურულ–ფუნქციონალური მიდგომების შეხამებამ განაპირობა, რომელიც თეორიული და ემპირიული მეთოდების გამოყენებას ითვალისწინებს:

- თეორიულ დონეზე: ა) ფულად ბაზარზე კომერციული ბანკების ოპერაციების განსაზღვრა და იდეალიზირებული ობიექტის გამოკვლევა; ბ) თეორიული მიდგომების აგება და შემოწმება.



- ემპირიულ დონეზე: ა) ემპირიული ობიექტის გამოცალკევება და გამოკვლევა (დაკვირვება); ბ) კვლევის შედეგების დამუშავება და სისტემატიზაცია (სტატისტიკური მეთოდები; ანალიზი და სინთეზი, ანალოგია, სისტემატიზაცია).

**კვლევის ნორმატიულ-სამართლებრივ საფუძვლად გამოყენებულ იქნა:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ეროვნული ბანკის ნორმატივები და კანონები, მთავრობისა და პარლამენტის დადგენილებები.

**კვლევის ინფორმაციულ ბაზას შეადგენს:** საქართველოს ეროვნული ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, საქსტატის, კომერციული ბანკების, საინვესტიციო კომპანიების, სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა და უცხოეთის ქვეყნების მასალები, ეროვნული და უცხოური ფინანსური ლიტერატურა.

**კვლევაში გამოყენებულია** ფაქტიური მასალა პერიოდული გამოცემებიდან, სამეცნიერო წყაროების, ცენტრალური და კომერციული ბანკების მონაცემთა სტატისტიკური ბაზა. ასევე, მუშაობისას იყო გამოყენებული გლობალური ქსელის (ინტერნეტის) ელექტრონული ინფორმაციული რესურსები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო კვლევის არსებითი შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

- **დაკონკრეტებულია,** რომ საბანკო სისტემა გარკვეული აზრით, ავტონომიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი და სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ - ეკონომიკის სისხლია, „საბანკო სისტემა“ - მისი სისხლგამტარი არტერიები, ხოლო ბანკები კი - „გულები“ გამოდიან, რომლებიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებენ.
- **შეთავაზებულია** ბანკებში ტექნოლოგიური რევოლუციით, ფინანსური ბაზრების დერეგულაციითა და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით ტრადიციული მომსახურების წილის

შემცირების ხარჯზე ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდა.

- **რეკომენდირებულია** საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის მიზნით, რეალურ სექტორში მოქმედი მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემის („სკორინგი“) სრულყოფა.
- **შეთავაზებულია** საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების სრულყოფის მიზნით ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემებისა და კლიენტის ელექტრონული საქაღალდეების მართვაში კრიპტოგრაფიული მეთოდების გამოყენება.
- **შეთავაზებულია** „ალტერნატიული ბანკის“ (ანგარიშსწორების და მომსახურების ინოვაციური, ალტერნატიული და დისტანციური მეთოდები) ტიპის მომსახურების დანერგვა, რომლის მეშვეობით შესაძლებელი ხდება საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ბანკში მიუსვლელად მიღება.
- **რეკომენდირებულია** ფინანსური პროდუქტების ფასობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლებიდან ყურადღების გადატანა სერვისულ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, რაც კლიენტი-სადმი ინდივიდუალურ მიდგომაში, მათი მომსახურების სიჩქარეში და ხარისხში გამოიხატება.
- **შეთავაზებულია** ანგარიშსწორების და მომსახურების ისეთი მეთოდებით სარგებლობა, რომლებსაც ტრადიციულ საბანკო პროდუქტებთან შედარებით დროის, ფინანსური დანახარჯების და მომსახურების სიჩქარის კუთხით დიდი უპირატესობები გააჩნია.

**კვლევის შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:**

დისერტაციის შედეგები ხელს შეუწყობს კომერციული ბანკების საქმიანობის თეორიული, მეთოდოლოგიური და პრაქტიკული პრობლემების უფრო სიღრმისეულ და ყოველმხრივ გააზრებას, ფულად ბაზარზე მათი ოპერაციების განვითარებას.

სადისერტაციო კვლევა შეიძლება სასარგებლო იყოს სამეცნიერო

მუშაკებისათვის, პედაგოგებისათვის, დოქტორანტებისათვის, მაგისტრანტებისათვის, ბაკალავრებისათვის და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის. მისი ძირითადი დასკვნები შეიძლება კომერციული ბანკების ოპერაციების შემდგომი კვლევების ჩატარებისას, აგრეთვე პედაგოგიურ პრაქტიკაში იქნეს გამოყენებული.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

**ლიტერატურის მიმოხილვაში** დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

**სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში** განხილულია საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა, სადაც მიმოხილულია შემდეგი საკითხები: საბანკო საქმის განვითარების ეტაპები საქართველოში; საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა თანამედროვე ეტაპზე; საბანკო ოპერაციები და მათი ადგილი ფულადი ურთიერთობების სრტუქტურაში.

დაზუსტებულია, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედუნარიანობის ხარისხს განსაზღვრავს. საბაზრო ურთიერთობები წარმოუდგენელია ფულად-საკრედიტო სისტემის აქტიური ფუნქციონირების გარეშე, იგი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკის პრაქტიკურად ყველა სფეროზე, განსაზღვრავს მის მიმართულებებს და ტრაექტორიებს. ამავე დროს საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ავტომონიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი და სპეციფიკური

კანონზომიერებები ახასიათებს.

სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ - ეკომონიკის სისხლია, „საბანკო სისტემა“ - მისი სისხლგამტარი არტერიები, ხოლო ბანკები კი - „გულები“ გამოდიან, რომლებიც ეკონომიკის სიცოცხლის უნარიანობაზე და განვითარებაზე მოქმედებენ.

უკვე დიდი ხანია, როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტთა აღიარებით, საქართველოში რეფორმებისა და ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყველაზე წინ სწორედ კომერციული ბანკები წავიდნენ. საქართველოში ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციონალური ჩამოყალიბების, მაკროეკონომიკური გარემოს სტაბილიზაციის პროცესის, კომერციული ბანკების წარმოშობისა და განვითარების, საბანკო რეფორმის ჩატარების სხვადასხვა ეტაპის შედეგად ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ფინანსურ სისტემაში ჩამოყალიბდა დადებითი ტენდენციები, რომელთაგან აღსანიშნავია რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი:

- სახელმწიფომ შეძლო ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ფულად-საკრედიტო საბიუჯეტო-საგადახდო სისტემების თანმიმდევრული ერთიანი პოლიტიკის განხორციელება;
- ფულის რაციონალური მიწოდების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა ინფლაციური პროცესების მართვა და შენარჩუნდა სხვა ვალუტების მიმართ ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობა;
- მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ბანკების კონსოლიდაციისა და გამსხვილების საქმეში, რაც ბანკებს შორის კონკურენციის გაზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობა მინიმალური საწესდებო კაპიტალის ეტაპობრივმა ზრდამ;
- სტაბილურმა გაცვლითმა კურსმა, საბანკო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტებისა და საკრედიტო დაბანდებების ზრდაზე;
- შეიქმნა კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და

რეგულირების მოქნილი სისტემა;


- შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და ინფორმაციის გამჭვირვალობის ქმედითი სისტემა;
- დღეისათვის უკვე ახალი საბანკო ტექნოლოგიებისა და უახლესი მომსახურების დანერგვით ქართული ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ საბანკო მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს;
- საბანკო სისტემაში თავი მოიყარა კვალიფიციურმა კადრებმა, რომელთა ცოდნის ამაღლებისათვის ბანკებში სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება;
- ქართული ბანკების სახით ქვეყანაში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტები.

პერიოდი	წმინდა აქტივები (მლნ ლარი)	სესხები (მლნ ლარი)	არასაბანკო დეპოზიტები (მლნ ლარი)	საბანკო დეპოზიტები და ნასესხები სახსრები (მლნ ლარი)	სააქციო კაპიტალი (მლნ ლარი)	წმინდა მოგება (მლნ ლარი)	საბანკო აქტივები/მშპ (%)	სესხები/მშპ (%)	დეპოზიტები/მშპ (%)	კომერციული ბანკები (რ-ბა)
1992										39
1993										70
1994										226
1995	278	138	78	84	35					102
1996	262	124	94	55	60		6.8		2.0	61
1997	360	178	140	72	100		7.9		2.9	53
1998	478	230	171	112	147	22.4	9.5	4.6	3.0	45
1999	602	306	212	143	203	23.8	10.6	5.4	3.4	39
2000	750	430	320	151	234	3.3	12.4	7.1	4.8	32
2001	880	490	422	171	270	13.0	13.2	7.6	6.0	28
2002	1116	639	575	201	316	43.5	15.0	8.3	6.7	26
2003	1336	786	717	230	354	49.6	15.6	8.8	7.6	24
2004	1697	965	971	310	373	27.5	17.3	9.5	9.3	21
2005	2548	1730	1310	675	479	61.8	21.9	14.6	10.5	19
2006	4228	2681	2097	1085	898	93.0	30.7	19.2	14.3	17
2007	7208	4589	3215	2239	1471	109.3	42.4	26.6	17.3	18
2008	8866	5993	3568	3451	1517	-215.7	46.5	30.6	17.5	20
2009	8293	5185	3950	2591	1517	-65.3	46.2	28.0	19.7	19
2010	10564	6261	5489	2952	1788	156.3	50.8	29.3	23.2	19
2011	12679	7739	6745	3248	2104	323.0	52.3	31.0	23.4	19
2012	14355	8733	7650	3820	2380	134.2	54.9	32.5	24.3	19
2013	17272	10566	9665	4191	2893	389.1	64.4	38.5	29.6	21

ცხრ . N1.1. საქართველოს საბანკო სისტემის ძირითადი მაჩვენებლები (პერიოდის ბოლოს)

საბანკო სისტემის რეფორმის რამდენიმე წარმატებულმა ეტაპმა უზრუნველყო მისი რაოდენობრივი, ფინანსური და ხარისხობრივი მაჩვენებლის დადებითი დინამიკა, ცხრილი 1.1.-ის შესაბამისად, რომელიც ზემოთ არის მოცემული.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კონსტიტუციით, ორგანული კანონით „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.



ნახაზი N1.1. საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი საფინანსო სექტორი 2009 წლიდან 2013 წლის მდგომარეობით

**ნაშრომის მეორე თავში** შესწავლილია საბანკო პროდუქტების შექმნის, თვითღირებულების განსაზღვრისა და გამოყენების თავისებურებები. საბანკო პროდუქტების შექმნის პროცესის მართვისა და საბანკო საქმეში კრიპტოგრაფიის მეთოდების გამოყენების პრიორიტეტებთან დაკავშირებით ავლნიშნავთ, რომ საბანკო საქმიანობისათვის პრიორიტეტულს უსაფრთხოების უზრუნველყოფელი კრიპტოგრაფიული მეთოდები წარმოადგენენ. იგი გამოყენებული ინფორმაციების დაშიფვრისა და ელექტრონული ხელმოწერების კრიპტოგრაფიული სქემების რეალიზაციის სიჩქარესთან და ინფორმაციების უფრო უსაფრთხოდ შენახვის კუთხით სრულყოფას საჭიროებს. კრიპტოგრაფიის გამოყენება საბანკო საქმეში შეიძლება განხილულ იქნეს საბანკო კრიპტოგრაფიული ოქმების, ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების, კლიენტის ელექტრონული საქაღალდეებისა და ა. შ. ჩამოყალიბებისა და დანერგვის შესაძლებლობების კუთხით, რაც საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების სრულყოფის საწინდარი იქნება.

განხილულია საბანკო პროდუქტების თვითღირებულების განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე, რომელიც თითოეული ბანკისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან თვითღირებულების გაანგარიშების პროცესში მიღებული ინფორმაციის მეშვეობით საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობას ბანკში დანერგილი პროდუქტებიდან ყველაზე უფრო ეფექტურისა და მომგებიანის გამოვლენა, აგრეთვე მათზე დასაბუთებული ფასების დადგენა და ახალი პროდუქტების დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასება შეუძლიათ.

ასევე განხილულია ლოკალური და ვირტუალური პლასტიკური ბარათები, რომლებიც წარმოადგენს ძველმოდური საბანკო ანგარიშისა და ბარათის თანამედროვე ალტერნატივას, რომელიც კლიენტს აძლევს საშუალებას, გადაიხადოს გადასახადები, დაზოგოს და განკარგოს თავისი ფინანსები მარტივად და სწრაფად. მათი ანგარიში ძირითად არის მულტისავალუტო საბანკო ანგარიში, რომელზეც აღრიცხულია სახსრები რამოდენიმე ვალუტაში ცალცალკე.



მსგავსი ბარათების დაკავშირება შესაძლებელია სხვადასხვა საანგარიშსწორებო სისტემებთან, რომლებიც ელექტრონულ ვაჭრობასა და ალტერნატიული საგადახდო არხების ნაირსახეობას წარმოადგენს. მათი მხარდამჭერი ელექტრონული მოწყობილობების და ვებ-გვერდების დახმარებით კლიენტს საშუალება ეძლევა დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან ადვილად გადაიხადოს კომუნალური, საკომუნიკაციო ან/და სხვა სახის გადასახადები. ამასთანავე, მსგავსი ვებ-გვერდების (მაგალითად <https://pay.ge>, <https://www.smartivi.ge>) უპირატესობაა, რომ მომსახურებით სარგებლობა შეუძლია არა მხოლოდ აღნიშნული ბარათის მქონე მომხმარებელს, არამედ ნებისმიერ პიროვნებას, რომელსაც სურს სხვადასხვა სახის გადასახადების გადახდა ნებისმიერი ბანკის მიერ გამოშვებული VISA ან MASTERCARD ტიპის საბანკო ბარათის გამოყენებით. კომუნალური, საკომუნიკაციო ან/და სხვა სახის გადასახადების კომფორტულად და დაგეგმილად გადახდის მიზნით კლიენტს საშუალება აქვს გაააქტიუროს დამატებითი მომსახურებები, რომლებიც ითვალისწინებს გადასახადების ავტომატურ გადახდას, რის შემდეგაც კლიენტს საერთოდ არ მოუწევს ბანკში მისვლა ან ინტერნეტის გამოყენება.

ლოკალური ბარათების გამოყენების კიდევ ერთი ხერხია ე.წ. სასაჩუქრე ბარათები. მსგავსი ტიპის ბარათები წინასწარ გადახდილი თანხით და აღნიშნული თანხის ოდენობით შევსებული ბარათია, რომლის გამოყენება შესაძლებელია მასზე არსებული თანხის ამოწურვამდე ან ბარათზე გამოსახული ვადის გასვლამდე პროექტში ჩართულ სავაჭრო ობიექტებში პოს ტერმინალების მეშვეობით.



რაც შეეხება ვირტუალურ პლასტიკურ ბარათს, იგი არის საანგარიშსწორებო სისტემაში ჩართული საერთაშორისო ტიპის ბარათი,

რომელიც შექმნილია ინტერნეტ შოპინგისთვის (ვაჭრობისათვის). ეს ბარათები შექმნილია სპეციალურად კომფორტული და დაცული ინტერნეტ ვაჭრობისთვის. ვირტუალურ ბარათს, განსხვავებით სხვა ბარათებისგან, არ აქვს ფიზიკური ფორმა. მას ვერ შეეხებით ხელით, მისი დაკარგვა შეუძლებელია, მას ვერავინ ვერ მოგპარავთ, ის მოსახერხებელია და რაც მთავარია უფასო.

**ნაშრომის მესამე თავში** განხილულია კომერციული ბანკის ინოვაციური ოპერაციები, ანგარიშსწორების და მომსახურების ალტერნატიული ფორმები, სადაც გამოკვლეულია საბანკო ინოვაციების და მათი კლასიფიკაციის სრულყოფის საკითხები; კომერციული ბანკების ოპერაციების განვითარების პრობლემები თანამედროვე ფულად ბაზარზე; საბანკო პროდუქტების მიმზიდველობის ამაღლება ფულად ბაზარზე.

საბანკო ინოვაციების განვითარების ძირითად ტენდენციებს შორის პირველ რიგში აქცენტი ფინანსური პროდუქტების ფასობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლებიდან სერვისულ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე უნდა იქნეს გადატანილი, ისეთებზე, როგორცაა კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მისი მომსახურების სიჩქარე და ხარისხი.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება საბანკო ბიზნესისათვის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს, რომლებიც ფინანსური ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობის მნიშვნელოვნად გაზრდისა და კლიენტებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა.

ანგარიშსწორების ტრადიციულ ფორმებს დიდი ხანია დაემატა დისტანციური საბანკო მომსახურებისა და ანგარიშსწორების ისეთი არხები, როგორც არის ინტერნეტ ბანკინგი, მობილ ბანკინგი, სწრაფი ჩარიცხვის აპარატები და სხვადასხვა აპლიკაციები, რომლებიც დღეს უკვე ფართოდ გამოიყენება და დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში.

ანგარიშსწორების ერთ-ერთი ასეთი ფორმაა საქონლისა და

მომსახურების საფასურის გადახდა მობილური ტელეფონის პოსტტერმინალზე უშაულოდ მიღებით ნაცვლად საბანკო ბარათისა. მსგავსი ინოვაციური პროდუქტის შემოღება მიზნად ისახავს გადახდის თანამედროვე და მოსახერხებელი საშუალებების დანერგვას, კლიენტებისთვის ანგარიშსწორების ოპერაციების გამარტივებას, საბანკო პროდუქტების ასორტიმენტის გაზრდას, კლიენტების ლოიალურობის ამაღლებას და საცალო ბიზნესის სეგმენტში ელექტრონული საგადახდო საშუალებების სტიმულირებას.

ბანკი თავის მომხმარებლებს აღნიშნული მომსახურების მისაღებად მაღალტექნოლოგიურ

პროდუქტს ე.წ. Mobile Pay (შემდგომში Mobile Pay) სთავაზობს. Mobile Pay წარმოადგენს აპლიკაციას, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს ბანკის ნებისმიერი ბარათით აწარმოოს უკონტაქტო



გადახდები. აპლიკაციაში შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობის ბარათების ატვირთვა, ხოლო ანგარიშსწორების მომენტში მომხმარებელი თავად ირჩევს თუ რომელი ბარათით სურს გადახდა.


ასევე სიახლეს წარმოადგენს საქართველოში მომხმარებლის მიერ ბანკში მიუსვლელად ვიზიტის დაჯავშნის და რიგის ნომრის აღების მომსახურება (სერვისი). მომხმარებელს ვიზიტის დაჯავშნის დროს შეუძლია აირჩიოს მისთვის სასურველი ქალაქი, რაიონი, ფილიალი, თარიღი და დრო. ჯავშანის



რეგისტრაციისათვის საჭირო გარკვეული პროცედურის გავლის შემდეგ მომხმარებელი მის მიერ მითითებულ მობილურ ტელეფონზე მიიღებს კოდს მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით, რომელიც მან ფილიალში რიგის აპარატში უნდა აკრიფოს.

მნიშვნელოვანი სიახლეა ისიც, რომ რიგის ნომრის აღება შესაძლებელია როგორც ბანკის ვებ-გვერდიდან, ასევე სოციალურ ქსელში არსებული ბანკის ოფიციალური გვერდიდან და ვიზიტის დაჯავშნის მიღება შესაძლებელია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის.

ბანკები მუდმივად ზრუნავენ ალტერნატიული არხებისა და საბანკო პროდუქტების განვითარებაზე, რომელთა გამოყენებით, მომხმარებელს გარკვეული მომსახურების მიღება ბანკში მიუსვლელად შეუძლიათ. ეს ბევრად მოსახერხებელია დროის, ენერჯის და ფულის დაზოგვის მხრივ, რაც მომხმარებლის უპირველესი საფიქრალია, ბანკისთვის კი - უპირველესი საზრუნავი კონკურენციის თვალსაზრისით.



ნახაზი №1. სისტემა CREST-ის ფუნქციონირების მოდელი.

დიდ ბრიტანეთში არსებობს ცენტრალური დეპოზიტარი (CRESTCo), რომელიც ანგარიშსწორებებს კორპორაციული, სახელმწიფოებრივი, საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების ფართო სპექტრის მიხედვით, აგრეთვე ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების მიხედვით ახორციელებს.

ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების მიხედვით ფუნქტი სტერლინგებში და ევროში ემიტირებული გადახდები ინგლისის ბანკის ელექტრონულ სისტემასთან ურთიერთქმედებენ, მაშინ როდესაც აშშ დოლარებში გადახდები თავისთავად სისტემაში ამოქმედებული ანგარიშსწორების ბანკებს შორის ორმხრივ გარიგებას წარმოადგენენ. ამრიგად, სისტემა CREST-ის ფუნქციონირების სრული მოდელი ნახაზ №1-ზე, ზემოთ მოცემული სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ.

**ნაშრომის აპრობაცია.** დისერტაციის თემაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:

1. საბანკო საქმის განვითარების ეტაპები და საქართველოს საბანკო-საკრედიტო სისტემა თანამედროვე ეტაპზე (18.02.2012).
2. კომერციულ ბანკში ლოკალური და ვირტუალური ბარათების გამოყენების თავისებურებები (20.02.2015).
3. საგადახდო (გადახდების) სისტემის მნიშვნელობა და ფინანსური პროდუქტების გამჭვირვალობა (03.07.2015).

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია** ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში:

1. გიორგი მოლოდინი. - ახალი საბანკო პროდუქტების შექმნის პროცესების მართვა და საბანკო საქმეში კრიპტოგრაფიის მეთოდების გამოყენების პრიორიტეტები. - თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №4, 2015. - გვ. 166-170;

2. გიორგი მოლოდინი. - კომერციული ბანკების ოპერაციების განვითარების პრობლემები თანამედროვე ფულად ბაზარზე. - თბილისი, ჟურნალი „ეკონომიკა“ №10-12, 2015. - გვ. 45-50;
3. გიორგი მოლოდინი. - საბანკო ოპერაციების მიმზიდველობის ამაღლება ფულად ბაზარზე: უცხოური და ქართული გამოცდილება. - თბილისი, ჟურნალი „ეკონომიკა“ №10-12, 2015. - გვ. 51-55.

**სადისერტაციო კვლევის შედეგები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (2015 წლის ნოემბერი) იყო მოხსენებული:**

1. გიორგი მოლოდინი. - საბანკო პროდუქტების თვითღირებულების განსაზღვრის თავისებურებები. - თბილისი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“ №2(2), 2015. - გვ. 67-75;

## ზოგადი დასკვნები

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

1 **დაკონკრეტებულია**, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ქმედუნარიანობის ხარისხს განსაზღვრავს. ამავე დროს საბანკო სისტემა, გარკვეული აზრით, ავტომონიური „სამყაროა“, რომელსაც განვითარების საკუთარი და სპეციფიკური კანონზომიერებები ახასიათებს. სამედიცინო ანალოგიის შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, „ფული“ - ეკონომიკის სისხლია, „საბანკო სისტემა“ - მისი სისხლგამტარი არტერიები, ხოლო ბანკები კი - „გულები“ გამოდიან, რომლებიც ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობაზე და განვითარებაზე ზემოქმედებენ.

2 **აღინიშნულია**, რომ ბანკი როგორც სპეციფიკური საწარმო ისეთ პროდუქტებს აწარმოებს, რომელიც არსებითად განსხვავდება მატერიალური წარმოების სფეროს პროდუქტისაგან. იგი აწარმოებს არა უბრალოდ საქონელს, არამედ განსაკუთრებული სახეობის საქონელს - ფულს, საგადამხდელო საშუალების სახით. ბანკის მიერ, როგორც კვლავწარმოების სუბიექტების მთლიან მასაში გამოყოფილი მონოპოლისტის, გამოშვებული ნაღდი ფული, ემსახურება როგორც წარმოების, ასევე განაწილების, გაცვლისა და მოხმარების სფეროებს. ამ პროდუქტებთან ერთად ბანკები მრავალფეროვან მომსახურებასაც ეწევიან, რომლებიც უპირატესად ფულადი ხასიათის მქონეა.

3 **დაზუსტებულია**, რომ ბანკის მუშაობის სპეციფიკა და მისი საფუძვლისა და სტრუქტურის ანალიზის გათვალისწინებით, ბანკები შეიძლება განვმარტოთ, როგორც ისეთი საწარმო ან საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, რომლის მთავარი ფუნქციები არის: დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულაცია და მათი გაცემა კრედიტის სახით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებზე. ბანკები აწარმოებენ ფულისა და ფასიანი

ქალაქების სხვადასხვა სახის ოპერაციებს, ფინანსურ მომსახურებას უწევენ მთავრობას, საწარმოებს, მოქალაქეებსა და ერთმანეთს. ბანკები ინახავენ, ყიდულობენ და ყიდიან, ცვლიან ფულსა და ფასიან ქალაქებს, აკონტროლებენ ფულადი სახრების მოძრაობას, ფულისა და ფასიანი ქალაქების მიმოქცევას, ეწევიან საგადამხდელო და საანგარიშსწორებო მომსახურებას.

4 **აღნიშნულია**, რომ ქვეყნის ეკონომიკური სისტემის სტაბილურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ კომერციული ბანკები როგორ მონაწილეობენ ფულადი სახსრების გადანაწილების პროცესში საწარმოებს, სახელმწიფოს, ცენტრალურ ბანკს, მოსახლეობასა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის. აგრეთვე იმაზეც, რამდენად ეფექტურად ახორციელებენ კომერციული ბანკები საკუთარ ოპერაციებს. კომერციული ბანკების ლიკვიდობის გაუარესებას და ბანკების კაპიტალის მოცულობის შემცირებას, საკრედიტო რესურსების სიმცირემდე და გაცემული სახსრების საერთო მოცულობის გაუარესებამდე მივყავართ. დაკრედიტების შემცირებას ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობის შეკვეცა და საწარმოების ეკონომიკური აქტიურობის შენელება მოჰყვება. ყოველივე აღნიშნულს, თავის მხრივ, ეკონომიკის არასტაბილურობამდე და ფინანსური სისტემის კრიზისამდე მივყავართ.

5 **დადასტურებულია**, რომ ტექნოლოგიური რევოლუციით ბანკებში, ფინანსური ბაზრების დერეგულაციითა და საბანკო კანონმდებლობის ლიბერალიზაციით, ტრადიციული მომსახურების წილის შემცირების ხარჯზე ახალი საბანკო პროდუქტების წილის ზრდითა და საინვესტიციო ბანკინგის განვითარებით, სტრატეგიულ საბანკო მენეჯმენტში საბანკო კაპიტალის კონსოლიდაციითა და ბანკის საბაზრო ღირებულების ზრდის პრიორიტეტულობით, საბანკო საქმიანობის უნიფიკაციითა და სტანდარტიზაციით, ბანკის ბიზნეს პროცესების რეინჟინერინგითა და ორგანიზაციული სტრუქტურის ტრანსფორმაციით დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა როგორც ყველაზე შემოსავლიანი,



ტექნოლოგიურად - ყველაზე განვითარებული, ინტელექტუალური პოტენციალით კი - ყველაზე მძლავრი ბიზნეს სექტორი.

6 **ხაზგასმულია**, რომ მიუხედავად რიგი პოზიტიური ცვლილებებისა, რომელიც ბოლო ათწლეულში განხორციელდა, საბანკო სექტორის სეგმენტში გარკვეული პრობლემები მაინც არსებობს, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ: ბანკებისადმი მეანაბრების დაბალი ნდობის მაჩვენებელი; საკრედიტო პროდუქტების მაღალი განაკვეთები; გარკვეული საკრედიტო რისკების არსებობა; პრობლემურ კრედიტებთან მუშაობის სფეროში არასრულყოფილი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა; ქვეყანაში, რეგიონების მიხედვით, საკრედიტო ორგანიზაციების არათანაბარი განაწილება; ქვეყანაში არასაბანკო საკრედიტო სტრუქტურების რაოდენობის გაზრდა.

7 **საგულისხმოა** ის გარემოება, რომ საკრედიტო რისკების ეფექტური მართვის მიზნით, რეალურ სექტორში მოქმედი მსესხებლების კრედიტუნარიანობის შეფასების სისტემის სრულყოფაა საჭირო შემდეგი მიმართულებით: ქვეყნის რეალობაზე მორგებული კლიენტის კრედიტუნარიანობის შეფასების საწყისი პარამეტრების განსაზღვრა; კლიენტის კრედიტუნარიანობის ძირითადი და დამატებითი მაჩვენებლების შერჩევისადმი კომერციული ბანკების მიდგომის ერთიანი სტანდარტის შემუშავება, ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ძირითადი კლიენტების ჭრილში მათი კრედიტუნარიანობის შესახებ მონაცემთა ბაზისა და ერთიანი ორიენტირების შემუშავება.

8 **შეთავაზებულია** კომერციულ ბანკებში ოპერაციების ეფექტურობის ამაღლების მიზნით შემდეგი პირობების დაცვის აუცილებლობა: ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების ნორმატიულ-სამართლებრივი უზრუნველყოფის სრულყოფა; ფულადი ბაზრის სეგმენტებზე ფულადი სახსრების მოზიდვის ახალი ინსტრუმენტების შექმნა; ფულადი ბაზრის გარიგებების თანმხლები რისკების მართვის სრულყოფა; დისტანციური მომსახურების არხების განვითარება; ანგარიშსწორების ინოვაციური მეთოდების

სრულყოფა; ელექტრონული პროდუქტების დახვეწა და მათი საერთაშორისო საანგარიშსწორებო სისტემებთან ინტეგრირება.

9 **შეთავაზებულია**, რომ საბანკო კრიპტოგრაფიული ოქმების, ელექტრონული ანგარიშსწორების სისტემების, კლიენტის ელექტრონული საქაღალდეებისა და ა. შ. ჩამოყალიბებისა და დანერგვის შესაძლებლობები კრიპტოგრაფიული მეთოდების მეშვეობით იქნეს განხორციელებული, რაც საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების სრულყოფის საწინდარი იქნება.

10 **აღნიშნულია**, რომ საბანკო პროდუქტის თვითღირებულება - არის მოცემული პროდუქტის შექმნისა და რეალიზაციის ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ბანკის ხარჯების ღირებულებითი შეფასება. მიგვაჩნია რომ აღნიშნული განმარტება „თვითღირებულების“ ტრადიციულ ცნებას სრული ზომიერებით გამოხატავს.

11 **მითითებულია**, რომ საბანკო პროდუქტების თვითღირებულების განსაზღვრა თანამედროვე ეტაპზე თითოეული ბანკისათვის მეტად მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ ასეთი გაანგარიშების პროცესში მიღებული ინფორმაციების მეშვეობით საბანკო დაწესებულების ხელმძღვანელობას ბანკის მიერ მიწოდებული პროდუქტებიდან ყველაზე უფრო ეფექტურისა და მომგებიანის არჩევა, აგრეთვე მათზე დასაბუთებული ფასების დადგენა და ახალი პროდუქტების დანერგვის მიზანშეწონილობის შეფასება შეუძლია.

12 **შეთავაზებულია**, ლოკალური ტიპის ბარათების მოხმარებისა და გავრცელების აუცილებლობა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ე.წ. "ალტერნატიული ბანკის" ტიპის მომსახურების დანერგვას ქვეყნის მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომელსაც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ სურს კომერციულ საბანკო სექტორთან სრულფასოვანი ურთიერთობის დამყარება და ურჩევნია დისტანციური არხების გამოყენებით მარტივი, ადვილად გასაგები და სწრაფი გზით მიიღოს სასურველი საბანკო მომსახურება.

13 **მიზანშეწონილია**, რომ საბანკო ინოვაციების განვითარების ძირითად ტენდენციებს შორის პირველ რიგში აქცენტი ფინანსური პროდუქტების

ფასობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლებიდან გადატანილ იქნეს სერვისულ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, ისეთზე, როგორცაა კლიენტისადმი ინდივიდუალური მიდგომა, მათი მომსახურების სიჩქარე და ხარისხი.

14 **აღსანიშნავია**, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება საბანკო ბიზნესისათვის ინოვაციურ გადაწყვეტილებებს ითვალისწინებს, რომლებიც ფინანსური ორგანიზაციის მუშაობის ეფექტურობის მნიშვნელოვნად გადიდებისა და კლიენტებისათვის მიწოდებული მომსახურების ხარისხის ამაღლების შესაძლებლობას იძლევა, რაც გარკვეული სიახლეების შემოღებისა და მიწოდებული საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ნაკრების წარმოშობას ასტიმულირებს.

15 **შეთავაზებულია** ანგარიშწორების ინოვაციური მეთოდებით სარგებლობა, რომლის უპირატესობებია: გადახდა ხორციელდება მარტივად და სწრაფად, მხოლოდ მობილური ტელეფონის ან ინტერნეტის გამოყენებით, გადახდა შესაძლებელია უკონტაქტოდ - პლასტიკური ბარათის გარეშე, გადახდის განხორციელების დროს არ არის აუცილებელი ინტერნეტ კავშირი; უსაფრთხოების კუთხით იქმნება საბანკო ბარათების ციფრული ანალოგები - შესაბამისად შეუძლებელია არსებული ბარათების კოპირება და ანგარიშსწორების გარდა სხვა ოპერაციების შესრულება.